ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2202424

ნომერი: AR1330407

თარიღი : 18.08.2015

გაცემის თარიღი : 22.09.2015

გაცნობის თარიღი : 23.09.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მელიქიშვილი , N 17-19 , ქუჩა ქუჩიშვილი , შესახვევი , N 4-6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ტრისტან სამუშია პ/ნ 01030004806
- თბილისი ტყვიავის ქ. N 10

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22.07.2015წ. №2023248 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 28/07/2015წ.

AR1330407 განაცხადით მომართა ტრისტან სამუშიამ და მოითხოვა ცვლილების შეტანა ამავე სამსახურის 22.07.2015წ. №2023248 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 22.07.2015წ. №2023248 ბრძანებით, ქ. თბილისში, (სექტორი – მთაწმინდა), მელიქიშვილის გამზ. N17–19, ქუჩიშვილის ქ. შესახვევი N4–6, მელიქიშვილის ქ. N15–ში, იბა "მელიქიშვილის 17"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი N01.15.03.016.015 და N01.15.03.017.004), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტებით, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში არასწორად იქნა მითითებული საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობების მაჩვენებლები, რის გამოც დღეისათვის, განმცხადებელი ითხოვს შევიდეს ცვლილება სამსახურის 22.07.2015წ. №2023248 ბრძანებაში და დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:7431.6 და საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:1668.8.
საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინდა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან. ამასთან, ფართობების ცვალებადობის გამო, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს გასწორდეს აგრეთვე საერთო ფართობი და დაფიქსირდეს 13296,2 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 96-ე მუხლების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ტრისტან სამუშიას 28/07/2015წ. AR1330407 განაცხადი;
2. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22.07.2015წ. №2023248 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს შემდეგი მონაცემები: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:7431.6 და საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:1668.8; საერთო ფართობი 13296,2 (კვ.მ). სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;
3. 22.07.2015წ. №2023248 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში -3.10; 13.20 და 23.10 ნიშნულების გეგმები, ჩანაცვლდეს შესაბამისი ნიშნულების იმ გეგმებით, რომლებიც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა 28/07/2015წ. AR1330407 განაცხადთან ერთად;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას სამსახურის 22.07.2015წ. №2023248 ბრძანებასთან ერთად;
5. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლოს ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.